

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 10

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

13 ივლისი 2021 წელი  
12: 00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ოლეგი მიქელთაძე, თამარ შენგელია, გელა ვარდოსანიძე, რამაზ არველაძე, ვარლამ გიორგაძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომა არ ესწრებოდა:** კობა ტოხვაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

*/დანართი N1/*

მოწვეული პირი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის , სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - ვანდა გიორგაძე

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)  
კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

**დღის წესრიგი**

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: /გიორგი ივანიაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ დიხაშხოს N12 ქუჩისთვის ნიკოლოზ აგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ზეინდრისა და სალომინას ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

5.ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ვანის და ბზვანის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა, კერძოდ;

**განსახილველი და მისაღები ნორმატიული აქტების პროექტები;**

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ;
2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების პროექტის განხივის შესახებ;

**მოსამენი და განსახილველი ანგარიშები.**

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;
2. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ -ების ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;
3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშის მოსმენა განსახორციელებელი და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

**გადაწყვიტეს:** წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

### **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ დიხაშხოს N12 ქუჩისთვის ნიკოლოზ აგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ პროექტმა გაიარა ყველა სამართლებრივი ინსტანცია და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2021 წლის 11 ივნისის სხდომის ოქმის N26 ამონაწერის შესაბამისად გვეძლევა საშუალება მივანიჭოთ N12 ქუჩას ნიკოლოზ აგიაშვილის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

### **მომხრე - 8**

#### **წინააღმდეგი - არცერთი**

**გადაწყვიტეს:** წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

### **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ზეინდრისა და სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნებამუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% . აღნიშნული ღირებულების პროექტებზე მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება:

1. ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მაღლაკელიძე-ჭელიძეები-ცინცაძეების უბანი (მეორე ეტაპი)- 342576,10 ლარი
2. სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სანიკიანების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია- 586 578,71 ლარი

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

**გადაწყვიტეს:** წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

#### **მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება შემდეგ პროექტებზე:

ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია

1. ზედაეწერ ტობანიერი კაცაძეების უბანი- 134751,76 ლარი
2. მეფარიშვილების უბანი - 141083,18 ლარი
3. მინაშვილი-ჯულაყიძეების უბანი - 183901,38 ლარი
4. მაჭუტაძეების უბანი - 31641,81 ლარი
5. კუმუბოურის უბანი - 196608,79 ლარი

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ. კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

**გადაწყვეტეს:** წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ვანის და ბზვანის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამშემთხვევაშიც მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება შემდეგ პროექტებზე:

1.ქ. ვანში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია

- გ. ტაბიძის ქუჩის შესახვევები -სავარაუდო ღირებულება 371668,36 ლარი

- წმინდა ნინოს ქუჩის შესახვევები-სავარაუდო ღირებულება 56020,38 ლარი

2. ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების

რეაბილიტაცია (ბზვანი-ზედაბზვანის დამაკავშირებელი)-სავარაუდო ღირებულება 408789,00 ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

**გადაწყვეტეს:** წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გელა ჩიკვაძე**

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე